ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისცილინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯომარე - ქეთევან უტიაშვილი
კოლეგიის წევრი - ხათუნა ჩხაიძე
კოლეგიის წევრი - თეიმურაზ თოდრია

საჩივრის ავტორი: ნ. ბ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.04.2019
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 053/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ, სიითი №
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 აპრილს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. მ. საადვოკატო მომსახურებას უწევს მისი ოჯახის მოწინააღმდეგე მხარეს ს. ჭ.-ს. ნ. ბ.-ის ოჯახის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი თ. ღ.. საჩივრის ავტორის განცხადებით, ს. ჭ. არის მისი ძმის ვ. ბ.-ის ყოფილი მეუღლე და მათ შორის მიმდინარეობს ქონებრივი დავა.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. მ. მას და მის ოჯახს შეურაცხყოფას აყენებს. ადვოკატმა ნ. მ.-მა ადვოკატ თ. ღ.-სთან კომუნიკაციის დროს განაცხადა, რომ ნ. მ.-მა ს. ჭ.-ს „ტანსაცმელი დაუჭრა და შემდეგ ჯადო გაუკეთა“, ამასთან, იმუქრება რომ საჩივრის ავტორის ოჯახის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართავს და მათ წინააღმდეგ ქონებრივ დავას წამოიწყებს.

ადვოკატმა დაარღვია ურთიერთშეთანხმება და საჩივრის ავტორის სახლში ს. ჭ.-სთან ერთად მივიდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მათი ადვოკატის მიერ გადაცემული ს. ჭ.-ის პირადი ნივთები ადვოკატმა ნ. მ.-მა სახლის ჭიშკართან მიუყარა მათ, რაც შემდგომში დაძაბულობისა და ურთიერთშელაპარაკების მიზეზი გახდა.

1.4 საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ის პირადად არასდროს შეხვედრია ადვოკატ ნ. მ.-ს და მასთან სატელეფონო კომუნიკაციაც არ ჰქონია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. მ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, ის საადვოკატო მომსახურებას უწევს საჩივრის ავტორის ძმის ვ. ბ.-ის მოწინააღმდეგე მხარეს - ს. ჭ.-ს განქორწინებასთან დაკავშირებულ დავაზე. სასამართლოში ვ. ბ.-ის ინტერესებს წარმოადგენენ ადვოკატები: თ. ღ. და მ. დ.. ადვოკატმა ნ. მ.-მა ს. ჭ.-ის პირადი ნივთები მიიღო საჩივრის ავტორის ოჯახის ადვოკატისგან - თ. ღ.-სგან. ადვოკატის განმარტებით არანაირი შეთანხმება მასსა და საჩივრის ავტორს შორის არ ყოფილა, რადგან ს. ჭ. თავისით მივიდა ნ. ბ.-ის ოჯახში.

2.2 ადვოკატ ნ. მ.-ის განცხადებით, ის პირადად არასდროს შეხვედრია საჩივრის ავტორს და მასთან კომუნიკაცია არ ჰქონია. ადვოკატი უარყოფს, რომ მან საჩივრის ავტორი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია. ადვოკატის განმარტებით, ის გამოხატავს თავისი კლიენტის ს. ჭ.-ის პოზიციას და იცავს მის ინტერესებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 საჩივრის ავტორმა ნ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 აპრილს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების

შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა ნ. მ.-მა საჩივრის ავტორი მოხსენია შეურაცხმყოფელი სიტყვებით, მის მიმართ გამოხატა უპატივცემულობა, მათ შორის დაარღვია საჩივრის ავტორის ადვოკატებთან არსებული ურთიერთშათანხმების პირობა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“ (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი).

,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი).

5.3 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით.

5.4 ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. მ. საადვოკატო მომსახურებას უწევს ს. ჭ.-ს, რომელსაც აქვს განქორწინებასთან დაკავშირებული საოჯახო დავა საჩივრის ავტორის ძმასთან - ვ. ბ.-თან. საჩივრის ავტორი და ადვოკატი ნ. მ. ადასტურებენ, რომ მათ ერთმანეთთან კომუნიკაცია არასდროს ჰქონიათ, თუმცა საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მა ის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია ადვოკატ თ. ღ.-სთან. ნ. ბ. განმარტავს, რომ მისთვის შეურაცხმყოფელია ადვოკატ ნ. მ.-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს საჩივრის ავტორი ს. ჭ.-ის „ტანსაცმელს ჯადოს უკეთებს“, პროკურატურას მიმართავს მის წინააღმდეგ საჩივრით და ქონებრივ დავას წამოიწყებს. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა ნ. მ.-მა განმარტა, რომ მას ადვოკატ თ. ღ.-სთან არ უსაუბრია საჩივრის ავტორის შესახებ შეურაცხმყოფელად და არც რაიმე ფორმით აგრესია გამოუხატავს საჩივრის ავტორის ოჯახის მიმართ. ამასთან, ადვოკატი უარყოფს პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატებთან არსებული ურთიერთშეთანხმება დაარღვია.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივარში არ არის წარმოდგენილი კონკრეტულად ის ფაქტები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ სავარაუდო არაეთიკური ქცევის შეფასება, მათ შორის ნ. ბ. კონკრეტულად არ უთითებს ადვოკატ ნ. მ.-ის იმ ქმედებებზე, რაც მისი მოსაზრებით შუერაცხმყოფელია. ადვოკატის მიერ თავის კოლეგასთან საუბრისას იმის თაობაზე მითითება, რომ საჩივრის ავტორმა ს. ჭ.-ის „ტანსაცმელს ჯადო გაუკეთა“ არის კლიენტის პოზიციის გაჟღერება, რომელიც შესაძლოა, არ იყოს მისაღები მხარისთვის, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს არაეთიკურ აქცევას. ამასთან, ადვოკატის მიერ მითითება იმის თაობაზე, რომ მან შესაძლოა, პროკურატურას და სასამართლოს მიმართოს მხარეთა წინააღმდეგ არის კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში, გარდა საჩივრის ავტორის განმარტებისა, საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება, მოწმის ჩვენებები, მათ შორის ადვოკატ თ. ღ.-ის, რომლის თაობაზეც საჩივრის ავტორი თავად უთითებს და განმარტავს, რომ შეურაცხმყოფელი სიტვებით ადვოკატმა ნ. მ.-მა სწორედ ადვოკატ თ. ღ.-სთან საუბარში მოიხსენია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისად დასაბუთებული ვარაუდი იმისათვის, რომ ადვოკატის მიმართ აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე № 053/19 ადვოკატ ნ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/